სახალხო გაზეთი

№ 1060 ხუთშაბათი, 5 დეკემბერი 1913 წ. № 1060

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

უფასო ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი დეკემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **75 კაპ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

მარიამ მოსეს ასული ფურცელაძისა, ლევან და ნესტორ ანტონის ძენი ფურცელაძენი და ივლიტა ანტონის ასული ქარცივაძისა უგულითადეს მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც პირველის ქმრისა და დანარჩენთა მამის

ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძის

გარდაცვალების გამო ნუგეშს სცეს დაკრძალვაზე პირადად დასწრებით, დეპეშით, თუ წერილით. 849

კონსტანტინე და ერმოლოზ ალექსის ძენი გოშუები და ნინო ალექსის ასული ჩიქოვანისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავიანთ უძვირფასესი დედის **ქვრივის**

ეკატერინე გაბრიელ ქავთარაძის ასულის გოშუასას,

და სთხოვენ პატივი სცენ და დაესწრნენ მიცვალებულის დაკრძალვას, რომელიც მოხდება 7 ამ თვეს, დღით შაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, **სამეგრელოს სოფელ კირცხში.** 1618

ელენე გიორგის ასული მაჩაბლისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 5 ქრისტეშობისთვეს დ. ცხინვალში ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის პანაშვიდი დაუვიწყარ მეუღლის

თ-დ აპოლონ ალექსანდრეს ძის მაჩაბლისა.

857.

ტელეფ. № 795.

ქართული თეატრი
გალა-წარმოდგენა

ხუთშაბათს, 5 დეკემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ **ქ-ნ ნინო ჩხეიძისა და ბ-ნ გ. აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება:

I) **სიმახინჯე,** დრამა 4 მოქ. ნ. შიუკაშვილისა.

II) **რაც არ მწყინდება, არ შემერგება,** ვოდ. 1 მ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, პიერეტა, ჩერქეზიშვილი, ჩხეიძე, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, ბარველი, გუნია, ზარდალიშვილი, მესხი, საყაროვი, შანშიაშვილი, ურუშაძე, ხონელი, შალიკაშვილი.

დასაწყ. სწორედ საღამოს 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვლ. შალიკაშვილი.**

მზადდება წარმოსადგ.: დამარცხებული რომი, სინათლე, ახალი მოძღვრება, დონ კარლოსი, მარიამ სტუარტი, ჰამლეტი და სხ.

შემდეგი **ბენეფისი მ. მდივანისა.** 12 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება **„ახალი მოძღვრება“.** ადმ. ქართ. დრამ. საზ. 1617

ქართული თეატრი

ტელეფ. № 795.

პარასკევს, 6 დეკემ., ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

I) **ორი ბედი,** დრამ. 3 მოქ. ვ. გუნიასი.

II) **პროვინციის ცოლ-ქმარი,** კომ. 3 მოქ. სუხოვო-კობილინისა, თარგ. ა. ს. ღულაძისა

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: მდივანი, ქიქოძე, შოთაძე, ჯავახიშვილი: ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, არადელი-იმედელი, ბარველი, გომელაური, გუნია, ვარვარიძე, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, იმედაშვილი, მესხი, სარაული, შანშიაშვილი, შალიკაშვილი, ურუშაძე, ხონელი და სხ.

დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

ანონსი: მზადდება წარმოსადგ.: მეფე ლირი, დამარცხებული რომი, ახალი მოძღვრება, მარია სტუარტი, დონ კარლოსი და სხვ. ადმ. ქ. დრ. საზ.

ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების საბჭო

ამით აცხადებს, რომ ყოველგვარი მიწერ-მოწერა და აგრეთვე მასალები ალმანახში მოსათავსებლად მიიღება საზოგადოების მდივნის **ნინო რცხილაძის ბინაზე (მოსკოვის ქუჩა, № 9),** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. 1597

„ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო

აცხადებს კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ **უკანასკნელ ვადად 1914 წლისათვის საწევრო ბილეთების განახლებისა დანიშნულია ამა წლის 20 დეკემბერი.** ვინც თავის დროზე საწევრო ბილეთებს არ განაახლებს, ჰკარგავს კლუბში უფასოდ შესვლის უფლებას 1914 წლის 1 იანვრიდან.

საწევრო ფულების გადახდა და ბილეთების განახლება შეიძლება კლუბის კანტორაში ყოველ-დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 9 საათიდან ღამის 12 საათამდე. 1585

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 5 დეკემბერს, 1913 წ.

დიდი საინტერესო წარმოდგენა

დღისით დაიწყება 2 საათზე,

მე-6 დღე მსოფლიო ფალავანდთა ფრანგული ჭიდაობისა.

დღეს ჭიდაობენ ჩემბერს ციპსი და ჯაკსონი, ვახტუროვი და ლავრენოვი, სეპნიკი და საბატიე, კოპიევი და სოლოვიოვი.

853 დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო
საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ქართ. ცხოვრება მარიამ დედ. ვარ. 3 მ. —
საქართ. ისტორია ვახუშტისა 2 „ —
„ „ ბაქრაძისა 1 „ —
„ „ ბროსესი 1-ლი — „ 70 კ.
„ „ „ 2-ე — „ 70 „
თაყაიშვილი ექვთ. Опис. рукописей
О-ва распр. гр. ср. гр. нас.
— т 1 вып. 1 1 „ —
— „ 1 „ 2 1 „ —
— „ 1 „ 3 — „ 75 к.
— „ 1 „ 4 — „ 75 „
— „ 2 „ 1 — „ 75 „
— „ 2 „ 2 1 „ —
— „ 2 „ 3 1 „ —
— „ 2 „ 4 1 „ —
— Сигелъ груз. царя Баграта 4 . . . . — „ 30 „
— Источники груз. лѣтописей 1 „ —
— Хроника Эристовскаго Акафиста . . . . — „ 10 „
— Еще одинъ изъ источниковъ исторіи Грузіи . . — „ 30 „
— Разборъ армаздскойнадписи по фотографическому списку . . . — „ 10 „
— Матеріалы для истор. Грузіи 30 „
— Канчаетскій „Жам-гуланъ и историческія приписки его Кинѣлосы . . — „ 15 „
— სიზმარი ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისა . . — „ 15 „

ახალი წიგნები:

ისტორიული საბუთები 3-ე, ს. კაკაბაძე 1—20
ცხენარენი და ცხოველები ცხელი ქვეყნისა ა. ბრემ ნამესი . . 35 კ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქიზიყის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

წოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ვ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფიდოროვი ი. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ი. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარქოვიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ი.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1 **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ, და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კანის და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

გორის პირველი კერძო
სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)

განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

წოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი ვ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფობა ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606“, „914“.** 1604

საზამთრო **ახალი კლუბი** თეატრი

შაბათს, 7 დეკემბერს,

საოჯახო საღამო

თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნება სამ-მოქმედებიანი ოპერეტკა დჟონსის. მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: კოლოტოვისა, პრესნსკისა, ვარვარინოვისა, გრიგორიევისა, თამარინოვისა, ტოპინისა და სხ. ბ-ნნი ანტონოვი, ვალერიანოვი, ევგენიევი-მონინი, საბინი, ლეონტიევი, მორსკოი, პეტროვი და სხვ. ✦ **დასაწყ. საღ. 8½ ს.**

ადგილების ფასი: პარტერში 2 მ.-დან 50 კ.-დე, გალერეია 50—20 კ. გალერეია ყველასათვის ხელმისაწვდომია. სტუმრები კლუბში შესვლაში იხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ და სტუდ. 25 კ. **ანონსი:** ორშაბათს, 9 დეკემბერს, **კონცერტი ცნობილ პიანისტის ალექსანდრე ბართონსკის** მონაწილეობით. 1568

---

8 დეკემბერს, 1913 წ. დანიშნულია

საზოგადო კრება
ქართ. ქალთა ამხ. ჭრა-კერვის სკოლის ამხანაგობისა.

განსახილველია: 1) ანგარიში 1912 წლ. ენკენისთვიდან 1913 ენკენისთვემდე. 2) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის სამოსწავლო წლისა. 3) მოხსენება გამგეობისა წესდების პირველი მუხლის შეცვლის გამო. 4) მოხსენება სკოლისათვის საკუთარ სახლის შესაძენად და 5) არჩევნები ორის გამგეობის წევრისა: ხაზინადრის ნ. მ. მაჭავარიანისა და მდივნის ილ. ნიკ. აგლაძისა.

გაბაანთ ქუჩა № 3. 854

საგანგებო საზოგადო კრება
„ახალი კლუბის“ წევრთა

დანიშნულია კვირას, 8 დეკემბ., დღის 12 ს., „ახალ კლუბის“ დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) მოხსენება კლუბის შენობის გადაკეთების შესახებ.

1) არჩევნები წევრებისა და მუდმივი მოსიარულეთა და სხვა მიმდინარე საქმეები. 1568

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

გ. მეჯრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულონური წამლობა. ხელოვნური პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვარებური სხივებით ფილტვებისა და გულის გამლანდვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1516

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50.

1608

საზურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ვაგზლის კერძო
სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოთხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. **მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით 1462

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

აბელედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოგუცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

გრიგორიანი. ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

ახპიხოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ატენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

ი. ბ. ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალამქაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. ოთხელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეონაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ქ. გ ო რ შ ი

ექიმი (დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი).
მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

დ ო ქ ტ ო რ ი

ი. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობ. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე, ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი მღვდლი **ს. ა. ლეჟავა**
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, ტელ. 16—57. 779

ექიმი ზ. ა. მიქელაძე
15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117, ტელეფონი 816.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი მეიფარიანი
იღებს შინაგანი, ბავშვისა და ვენერიულ ავადმყოფებს. დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათ. ქუთაისი, ტფილისის ქ., საკუთარი სახლი, № 30, ტელეფონი № 150. 1855

ექიმი ზ. მ. ღოღობერიძე
ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 2—3 საათამდე. საბებიო, ქალის და შინაგანი ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

ექიმი ვ. მ-ძე მანსვეტაშვილი
გადავიდა ახალ სახლში. ოლგას ქუჩა, სახ. მელიქ-აზარიანცისა, № 3. შინაგანი, ძარღვების და ბავშვების ავადმყოფობათა. იღებს 10—12 დილით, 6—7 საღამოთი ტელეფონი № 16—02. 707

ექიმი ქალიხა **ნინო რუხილაძე**
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ტფილისი 5 დეკემბერი

კავკასიის ერთა სოლიდარობა.

კავკასიის ერთა სოლიდარობა, რომლის შესახებაც ყველა ლაპარაკობს, მაგრამ რომლის საფუძვლების გამორკვევაზედაც არავინა ზრუნავს, მალე კავკასიის ყველა ერთა თავსატეხ საგნად გადაიქცევა. კავკასიის თვითოეულ ერს თავისი განსაკუთრებული ეროვნული ინტერესი აქვს. მრავალი რთული სოციალ-პოლიტიკური პირობები, რომლებშიაც არის ჩაყენებული თვითოეული ამ ერთაგანი ცალცალკე, სხვა-და-სხვანაირ ტენდენციებს ასაზრდოებს მათში. ერთა სოლიდარობის დამყარება მოხერხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითოეული ამ ერის ინტერესი ნათლად იქნება გამორკვეული, როდესაც იგი განსაზღვრულ ფორმებში ჩამოყალიბდება და გამოიძებნება **საშუალება** შეთანხმებისა. ჩვენ ვიცით ერთი საშუალება შეთანხმებისა. იგი ჩვენებური დასელების ნაყოფია და გამოიხატება არა თვითოეული ერის ინტერესის აღიარებაში, არამედ თვით განსაკუთრებულ ეროვნულ ინტერესის უარყოფაში. ამ განსაკუთრებულ ინტერესების უარყოფით ჰსურთ ჩვენებურ დასელებს ერთა შორის სოლიდარობის დამყარება. ვინც ნაციონალურ ინტერესს იცავს, ის შოვინისტია, მაშასადამე, არც ერთა სოლიდარობა ჰსურს. ვინც ერთა სოლიდარობის მომხრეა, იმან ყოველივე განსაკუთრებული ეროვნული ინტერესი უნდა უარჰყოს. ასეთი მარტივია დასელების აზროვნება. რასაკვირველია, ცხოვრება უფრო რთულია და იგი დასელების მიერ წარმოდგენილ სქემატიურ ფარგლებში ვერ მოექცევა. რაც მეტი დრო გადის, უფრო ცხადი ჰხდება ყველასათვის, რომ ეროვნული ინტერესი მოცლილ ხალხის მიერ მოგონილი ზღაპარი კი არ არის, არამედ ისეთი რამ, რაც ერის არსებობის მთავარ საფუძვლად უნდა ჩაითვალოს. ეროვნული ცხოვრება მუდმივ დუღილ სა და მიმდინარეობაშია. ყოველ დღე, ყოველ წუთს სწარმოებს პროცესი, რომელსაც შეუძლიან ან სრულს ეროვნულ გადაგვარებამდე და ფიზიკურსა და სულიერ გადაშენებამდე მიგვიყვანოს, ან ეროვნულ განახლებამდე. ერთის მხრით სწარმოებს პროცესი ჩვენი დენაციონალიზაციისა. მავალნაირ სახეს იღებს იგი პროცესი პრაქტიკულ ცხოვრებაში, მაგრამ ამ ჟამად ამის გამორკვევას არ შევუდგებით. მეორეს მხრით სწარმოებს პროცესი ეროვნული ინდივიდუალობის დაცვისა. ეს ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო პროცესი დაუსრულებლივ სწარმოებს და ჩვენი მომავალი დამოკიდებულია იმაზე, რომელი მათგანი უფრო ცხოველ-მყოფელი, ძლიერი გამოდგება და რომელი სძლევს.

ამიტომ შეცდარია ის, ვისაც ჰგონია, რომ ეროვნული საკითხის გადაფუჩეჩებით, დამალვით რამე გაკეთდება. თვით პროგრესისა და ერთა სოლიდარობისთვის არის საჭირო, რომ ერმა პირდაპირ შეჰხედოს თავის მდგომარეობას და ცხადად სთქვას, რა ჰსურს და რა არა. მხოლოდ ამნაირი საშუალებით მოხერხდება სოლიდარობის დამყარება სხვა ერებთანაც.

ქართველმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ უკვე შეიმუშავა დოგმატი ეროვნული მოთხოვნილებისა და პრინციპისა. ქართველების ეროვნული პროგრამა არის ნაყოფი არა ფანტაზიორებისა, არამედ ცხოვრებისა. თვით ჩვენი რეალური სინამდვილე გვიკარნახებს, რომ გარეშე ამ ეროვნული პროგრამისა, შეუძლებელია ქართველ ხალხის კულტურული ღორძინება. სომხის ინტელიგენციის ნაწილი კარგად იცნობს ამ პროგრამას. იყო დრო, როდესაც სომხის მოწინავე ინტელიგენცია, აგრესიულ ნაციონალიზმს მოკლებული, ანგარიშს უწევდა ქართველ ხალხის ამ მოთხოვნილებას და ამით მტკიცე სოლიდარობის ხიდსა სდებდა ქართველებსა და სომხებს შორის. საუბედუროდ დღეს ამას ველარა ვხედავთ. გაზეთი, რომელიც ჩვენ ამ სოლიდარობის მქადაგებლად მიგვაჩნდა, „ჰორიზონი", რომელსაც, როგორც ეტყობა, ძველებური ტრადიციები სრულიად დავიწყებია, დღეს აგრესიულ ნაციონალიზმის მქადაგებლის როლში გამოდის და მხარს უჭერს სომხის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ძილშიაც კი საქართველოს პოლიტიკურ ინტერესებთან ბრძოლა ელანდებათ. ყოველ ექვს გარეშე, რომ ასეთი პოზიცია ვერავითარი თავმდებია სოლიდარობის დამყარებისა.

ტენდენციები სომხის ბურჟუაზიისა და პლუტოკრატიისა ცხადია. მას, როგორც შეძლებულ კლასს, განსაზღვრული პოზიციები უჭირავს საქართველოში. საქართველოს განსაკუთრებულ პოლიტიკურ ინტერესების აღიარება მისთვის, როგორც ეკონომიურად გაბატონებულ ელემენტისთვის, ხელ-საყრელი არ არის. ამიტომ იგი აფრიალებს სომხის პლუტოკრატიის აგრესიულ პოლიტიკას და, რაც გასაკვირველია, ამ აგრესიულ პოლიტიკაში ითრევს ისეთს ელემენტებს, რომლებიც თითქოს, თუ მხედველობაში მახლობელ წარსულს მივიღებთ, სულ სხვანაირად უნდა ფიქრობდნენ და ჰგრძნობდნენ.

სოლიდარობის დამყარება მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როდესაც ერთმანეთის უფლებათა პატივისცემას შევეჩვევით. ჩვენ არავითარი იმედი არა გვაქვს, რომ სომხის პლუტოკრატია როდისმე მოინდომებს სოლიდარობის დამყარებას. სომხის პლუტოკრატიის დევიზია ბრძოლა საქართველოსთან, ბრძოლა იმ პოზიციების გასამაგრებლად და გასავრცელებლად, რომლებიც დღეს უჭირავთ. მაგრამ ერი მხოლოდ პლუტოკრატიისაგან არ შესდგება, სომხის ხალხს ხომ უნდა ჰყავდეს ისეთი წრე, რომელიც ანგარიშს უწევს საერთო საკაცობრიო პრინციპებსაც და ესმის, რომ პლუტოკრატიის ბატონობა დროებითი, გარდამავალი მოვლენაა და მის ძლიერებაზე დამყარება ვერავითარ გარანტიას წარმოადგენს კეთილი მეზობლობის დამყარებისას?

ჩვენ ჯერ კიდევ გვწამს, რომ სომხის საზოგადოებაში მოიძებნება ისეთი ელემენტები, რომლებიც დევიზად გაიხდიან არა ბრძოლას ჩვენთან, არამედ შეთანხმებას და ამ შეთანხმებაზე მოისურვებენ საერთო ბედნიერების აშენებას.

გრძნობებით გატაცება არ ვარგა, პლუტოკრატიის ძლიერება მაცდურია და, ვინც მის აგრესიულ ნაციონალიზმს თავის სახელმძღვანელო პრინციპად გაიხდის, ძალიან ინანებს. არა გვგონია ქართველების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადება ვისმეს რამე სიკეთეს უქადიდეს. დაე, დროებითი გარდამავალი მოვლენანი ნურავის თვალებს ნუ აუბამს და ნუ გადაახვევინებს იმ გზიდან, რომელსაც სახელად ქართველ-სომეხთა სოლიდარობა ჰქვიან.

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 დეკემბრის სხდომა

როძიანკო თავმჯდომარეობს.

შემოსულ საქმეთა სიაში არის იუსტიციის მინისტრის განცხადება სათათბიროს წევრის კერენსკის სამართალში მიცემისა.

სუვჩინსკი საფინანსო კომისიის ახსნებას კითხულობს ქალაქის უძრავ ქონებათა სახელმწიფო გადასახადის თაობაზე. ახალი კანონ-პროექტით გადასახადი უდრის 6 პროც.-ს, ამაში 1 პროც. ქალაქის თვითმმართველობათ გადაეცემა, ხოლო თუ მამული ქალაქ გარედ მდებარეობს 1 პროც. ერობას გადაეცემა. პოლონეთის გუბერნიებში სახელმწიფო გადასახადად წესდება 10 პროც.—აქედან 1 პროც. ქალაქის თვითმმართველობათ გადაეცემა. კომისიამ შესაძლებლად სცნო ახალი კანონ-პროექტის მიღება, მით უმეტეს, რომ იგი საუკეთესოდ სწყვეტს ქალაქის საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხსო.

მალინოვსკი. სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგნი არიან კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვისა. მთავრობას ზედმეტი ფული არ უნდა მიეცეს უკანტროლოდ.

ველიხოვი. ორი კვირის წინად სათათბირომ უარჰყო გადასახადის ექვს პროცენტიანი ნორმა და ფინანსთა სამინისტროს კი კვლავ იგივე შემოაქვს. კადეტები მოითხოვენ ქალაქებისათვის სრულ თავისუფლებას გადასახადების საქმეში; ქალაქები უსამართლო კანონ-პროექტთა საჩუქრებს არა ჰსაჭიროებენო. ამიტომ კადეტებს იგივე შესწორებანი შემოაქვთ კანონ-პროექტში, რაც ამას წინად იყო შეტანილი.

სავიჩი. მოუთხრობს კანონ-პროექტის აღორძინების ისტორიას. ეს კანონ-პროექტი, მესამე სათათბირომ შეგნებულად მიიღო, რადგანაც იგი ქვეყნის მდგომარეობას აუმჯობესებსო. გადასახადის გადიდება მესამე სათათბირომ იმიტომ მიიღო, რომ უმთავრესად გადასახადთა სიმძიმე შეძლებულ კლასებს ედებოდათ კისრად. რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა შეიცვალა; დეფიციტის ნაცვლად დიდძალი თავისუფალი თანხა შეგროვდა. ამიტომაც მესამე სათათბირო არ იღებდა ისეთ კანონ-პროექტებს, რომელთაც გადასახადთა გადიდება ჰქონდათ მიზნად. სავიჩის აზრით, გადასახადთა გადიდება საჭირო არ არის, რადგანაც სახალხო წარმომადგენლობის უფლებათ იგი საფრთხეს უმზადებს და აკმაყოფილებს საზღვარ-გარეთის მადაგახსნილ მებანკეებს.

გელოვანი. შრომის ჯგუფი არ უღალატებს თვის პრინციპიალურ რწმენას და კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას უარჰყოფს. შრომის ჯგუფს სწამს, რომ რეალური გადასახადები მუნიციპალიტეტს უნდა გადაეცეს და სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში არ შედიოდეს.

მარკოვი მეორე. მთავრობა გონივრულად მოიქცა, როდესაც პირველის უარყოფის შემდეგ მეორე კანონ-პროექტი შემოიტანა. მემარჯვენეებს კანონ-პროექტი შესაწყნარებლად მიაჩნიათ; შეაქვთ მხოლოდ ერთი შესწორება: გადასახადისაგან გაანთავისუფლონ ქალაქის უღარიბესი ნაწილი.

კოტლიარევსკი. თვით მთავრობა რენტაზე 4 პროც. იხდის; საჭიროა ეს ნორმა იყოს შემოღებული ქალაქების უძრავ ქონებათა გადასახადისთვისაც.

პოსტნიკოვი. საფინანსო კომისიის არს ემყარება და კანონ-პროექტის განხორციელება საჭიროდ მიაჩნია.

დემჩენკო, წინადადებას იძლევა გადასახადთა ნორმად 5% დააწესონ, ხოლო ქალაქები ოპეკისაგან გაანთავისუფლონ.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგი პოკროვსკი ველიხოვს ეკამათება. კანონ-პროექტი ქალაქის თვითმმართველობაზე არავითარ ოპეკას არ აწესებს. მინისტრის ამხანაგი საფინანსო კომისიის დასკვნას იზიარებს და სათათბიროს გულისყურ იმ გარემოებას აქცევს, რომ კანონ-პროექტი გადასახადებს კი არ ადიდებს, არამედ გადასახადთა არსებულ წესს იცავსო.

გოსტიცკის სამართლიანობის გულისთვის საჭიროდ მიაჩნია პოლონეთის ქალაქებშიაც გადასახადი შემოსავლის დაგვარად შემოიღონ. როდესაც პოლონეთში საქალაქო დებულებას შემოიღებენ, პოლონეთის ქალაქთა უძრავ ქონებაზედაც იგივე გადასახადი დაწესდეს, რაც იმპერიის სხვა ქალაქებში.

სათათბირომ კომისიის წინადადება და სალაზკინის შესწორება მიიღო. სხვა შესწორებანი უარჰყვეს.

წაიკითხეს შრომის ჯგუფის და სოც.-დემოკრატთა სწრაფი შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი. შეკითხვა პოლიციის დეპარტამენტის ცირკულიარს გამოუწვევია, რომელიც ქალაქის უფროსთა და გუბერნატორებს მუშათა გაფიცვაში ჩარევას ავალებს.

ზურიანოვი შეკითხვის სისწრაფეს იცავს. ცირკულიარი არღვევს 1905 წლის 2 დეკემბრის უმაღლეს ბრძანებასაო. ცირკულიარით ადგილობრივ მთავრობას ევალება ჩაერიოს მუშათა გაფიცვის საქმეში, მექარხნეთა და მუშათა მოლაპარაკებაში, აგრეთვე სამართალში მისცენ გაფიცვისთვის მუშებიო.

მარკოვი მეორე სისწრაფის წინააღმდეგ ლაპარაკობს. გაფიცვებს მუშებისათვის ზარალისა და ვნების მეტი არაფერი მოაქვს. ამასთანავე იგი გაიასენებს ცხოვრების გაძვირებასაც. მუშებს არა ჰსურთ გაფიცვის მოხდენა, მაგრამ იძულებულნი არიან გაიფიცნენ, რადგანაც უმცირესობისა და სოციალ-დემოკრატებისაგან არიან დაშინებულნიო.

კერენსკი. შეკითხვის სისწრაფეს მოითხოვს. პოლიციის დეპარტამენტის ცირკულიარი მოქალაქეთა ძირითად უფლებებს არღვევს. ეს ცირკულიარი საუკეთესო სააგიტაციო საშუალებაა, რათა ნათლად დავანახოთ მუშებს, თუ მთავრობა როგორ სდევნის მათ.

შეკითხვის სისწრაფე სათათბირომ უარჰყო.

შემდეგი სხდომა 4 დეკემბერს საღამოთი მოხდება.

ჩვენი მკითხველების საყურადღებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ გუშინდელს ნომერში, სტამბის დაუდევრობისა გამო, ჩვენი გაზეთის შიგნითა გვერდები ერთი-მეორის ადგილას არის მოთავსებული.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემა.** როგორც შევიტყვეთ ტფილისში მცხოვრებ ხელის მომწერთ უმეტესს ნაწილს წიგნი უკვე დაურიგდათ, დანარჩენებიც მოკლე ხანში დაკმაყოფილებულ იქმნებიან. სამი წყება წიგნისა უკვე გაიგზავნა პროვინციაში. საქმეს აგვიანებს მკაზმავი, რომელიც დროზე ვერ ასწრობს ყდის დამზადებას. სარედაქციო კომისიას უკანასკნელ კრებაზე დაუდგენია, შესაფერი ზომები მიიღოს და მკაზმავი აიძულოს, რათა ყდის დამზადება, რამდენადაც კი შესაძლებელია, დააჩქაროს.

◆ „კავკაზს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: 3 დეკემბერს სახელმწიფო სათათბიროს საფინანსო კომისიაში დაიწყო განხილვა შესაფასებელ მუშაობათა კანონ-პროექტისა. მთავრობის მხრივ განმარტება მისცეს: ფინანსთა მინისტრის თანაშემწემ პოკროვსკიმ და შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწემ ჯუნკოვსკიმ. კომისიის წევრმა **გ. გელოვანმა** კანონ-პროექტის წინააღმდეგ წარმოსთქვა სიტყვა და მოითხოვა კანონ-პროექტის ჯეროვანი დამუშავება. კანონ-პროექტი მცირე კომისიაში გადასცეს, რომელსაც თავმჯდომარეობს პროფესორი პოსტნიკოვი.

◆ ი. აბულაძის რედაქტორობით გამოსაცემ **„ვეფხის ტყაოსან"-ზე** ხელის მოწერა აგენტებთან 1 დეკემბრიდან შესწყდა. 1—15 დეკემბრამდე ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვით ი. აბულაძესთან, (კაბგეროვის ქუჩ. № 29).

◆ ამას წინად მოთავსებული გვქონდა ცნობა, რომ ეფრემ ლომთაძემ ქურდობა ჩაიდინაო. ეს ლომთაძე არის რაჭის მაზრის სოფ. ტოლის მცხოვრები **და არა ეფრემ ვასილის ძე ლომთაძე,** სოფ. ციშხას (ლეჩხ. მაზ.) მცხოვრები.

◆ კომპოზიტორი **ნიკ. პავლ. სულხანიშვილი** დაინიშნა თელავის სასულიერო სასწავლებლის გალობის მასწავლებლად.

◆ როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, ლონდონში ცალკე წიგნად გამოვიდა ჩვენის ახალგაზდა ორიენტალისტის **მ. წერეთლის** შრომა: **„სუმერული და ქართული,**—შედარებითი საფილოლოგიო გამოკვლევა (Sumerian and Georgnia. A study in comparative philology)". ავტორი ამ წიგნში ამტკიცებს ქართულისა და სუმერ ენათა ნათესაობას. ეს წიგნი პირველი ნაწილია ავტორის შრომისა და იბეჭდებოდა ლონდონის სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალში. შემოკლებით ესევე შრომა ქართულადაც იყო დაბეჭდილი ს. ფირცხალავას მიერ „გამოცემულ „გვირგვინში".

◆ **სერგის კაკაბაძის ლექცია** ქართულ თეატრში თემაზე „საქართველო ერეკლე II-ის დროს" 16 დეკემბრისათვის გადაიდო.

◆ **წმ. ბარბარობა** გუშინ იუქმა წმ. ბარბარეს ეკლესიამ. ეკლესიას ამ დღეს აგრეთვე წინა ღამეს დიდძალი ხალხი მიაწყდა.

◆ ქალაქის მეხუთე და მესამე უბანში სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურეებმა ა. გ. ხარაზიანმა და ე. ლომიძემ მაღაზიებში დიდძალი **ძველი ტანისამოსი** აღმოაჩინეს, რომელსაც სადეზინფექციო კამერის ბეჭედი არა ჰქონდა.

◆ **საერთო ხარჯთ-აღრიცხვა.** 12 დეკემბრისთვის დანიშნულია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საერთო კრება. კრებამ უნდა ამოირჩიოს ერთი წარმომადგენელი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მეფის მოადგილის საბჭოს მუშაობაში 1915—1917 წლების ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს.

◆ **ქალაქის გამგეობის წევრს გ. ნ. ათაბეგოვს** სამსახურის ვადა გაუთავდა. ამის გამო გამგეობის ახალ წევრის არჩევა მომავალ ორშაბათისთვის დაინიშნა. ერთად ერთ კანდიდატად ისევ გ. ნ. ათაბეგოვია.

◆ **საპოლიტეხნიკუმო ადგილში** მიწის ყიდვის სურვილი გუშინ 5,000 კაცმა განაცხადა. დღემდე მთხოვნელია 8,000-დე კაცი. გასასყიდია 1,200 ნაჭერი მიწა.

◆ **სასკოლო ბაღი.** 6 დეკემბერს ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო კომისია ქალაქის გამგეობის წევრის გ. ნ. ათაბეგოვის მეთაურობით საქალაქო მიწებს დაათვალიერებს სასკოლო ბაღისათვის შესაფერ ადგილის ასარჩევად.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **საყინულეთა მოწყობის** საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრებაზე ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ საყინულეთა საქმის კომიტეტის წარმომადგენლებად იქნებიან: კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ი. დენისოვი, პროფესორი ა. ვ. რიაზანცევი და ინჟენერი გ. ნ. გროტენი.

◆ **საკოოპერაციო კრება.** 6 დეკემბრისთვის, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში დანიშნულია საიმპერატორო, ქართულ და სომხურ სამეურნეო საზოგადოებათა წევრების თათბირი, რომელიც შეიმუშავებს მომავალ წელს განზრახულ საკოოპერაციო კრების პროგრამა'ა და დებულებას.

◆ ქალაქის საბჭოს 16 დეკემბრის კრებაზე მოხდება არჩევნები ქალაქის საბჭოს ყველა კომისიის წევრებისა.

◆ ქალაქის საბჭოს საგადასახადო კომისიის კრება დანიშნულია 7 დეკემბრისათვის. განსახილველი აქვს საკითხი სატრაქტირო გადასახადის შესახებ.

ქუთაისი.

◆ მოგვყავს დაწვრილებით ცნობები გუშინ-წინ მომხდარი უბედურების შესახებ. ქუთაისში მცხოვრებს დარისპან გაჩეჩილაძეს არყის გამოსახდელად ქვაბი მოუგროვებია და ჩაუყრია ამოკირულს დიდს ორმოში. ქვაბს დუღილი დაუწყია და ორმო ნახშირბადით ავსებულა. გაჩეჩილაძის ოჯახობას მოსამსახურე ლეჩხუმელი ბიჭისთვის უთქვამს:—ორმოში ძმარი იქნება მოგროვებული და ამოიღეო. ბიჭს ორმოში კიბე ჩაუდგამს და ჩასულა, მაგრამ გაგუდულა და წაქცეულა. ცოტა ხანს შემდეგ ბიჭს გაჩეჩილაძის ერთადერთი ვაჟი ნიკოლოზი გაჰყოლია. ისიც ჩასულა კიბით ორმოში და აღარ ამოსულა. ქალებს ყვირილი მოურთავთ: ხმაურობაზე გზაზე გამვლელი სიმონ კაზანჯიევი მისულა, ჩაუხედია ორმოში და შეუხედავს, რომ ორი კაცი ფართხალობს. უცებ ჩამხტარა იმათ ამოსაყვანად, მაგრამ ისიც წაქცეულა. ბოლოს მისულა გორის პოლკის ჯარის-კაცი, ჩასულა ორმოში და ისიც უცბად წაქცეულა. საზარელს სურათს წარმოადგენდა უბედურობის ორმო. ერთ-ნახევარი საჟენის სიმაღლეზე მწარე გაჭირვებაში სულთმლევდა ოთხი კაცი; საცოდავად ფართხალობდნენ უბედურები; ამავე დროს იქვე რამდენიმე კაცი იდგა და შველა ვერ მოეხერხებინათ. ბოლოს ექიმები მოვიდნენ: სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ბულგაკოვი, გრ. გორგაშვილი, გრ. ალშიბაია, ჭემინი, გოკიელი და რელიგიონი, ცეცხლისმქრობელ რაზმს ორმოს თავს ჩაატეხინეს, მილებით ამოსწმინდეს საწამლავი გაზი და თოკებით ამოიყვანეს გაგუდულები. ჯერ გაჩეჩილაძის ბინაზე ამოუჩინეს პირველი დახმარება, შემდეგ ბ-ნმა ბულგაკოვმა ისინი საავადმყოფოში გადაიყვანა; ექიმებმა მჟავბადითა და ელექტრონით დახმარება აღმოუჩინეს, ღამის ათ საამდე თავს დასტრიალებდნენ, მაგრამ შველა არ იქნა. ღამის 11 საათზე ოთხივე მიიცვალა.

◆ 2 დეკემბერს ქალაქის საბჭომ დაადგინა: სხვა მუნიციპალურ საქმეებთან ერთად მოაწყოს ქალაქის არხების საქმეც. ამის გამო სესხი გაადიდეს 3.062,200 მანეთამდი. აგრეთვე დაადგინეს ტრამვაი ბალახვანის ქუჩაზედაც გაიყვანონ.

◆ ქალაქის სასანიტარო მუშებმა რამდენჯერმე მიმართეს ქალაქის გამგეობის და ქალაქის ექიმ ლორთქიფანიძეს თავიანთი ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს! ექიმმა ლორთქიფანიძემ გუშინწინ პასუხისთვის მისულ მუშებს არც კი გამოჰხედა. ამიტომ მუშებმა, რიცხვით 33 კაცმა, შესწყვიტეს მუშაობა.

ზუგდიდი

◆ ზუგდიდის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი კვიტაშვილი ამავე თანამდებობაზე რაჭის მაზრაში გადაიყვანეს.

◆ ზუგდიდის მაზრის უფროსის თანაშემწედ კვიტაშვილის ნაცვლად ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწეს ბ-ნს ს. ჩიქოვანს ნიშნავენ.

◆ თავადს მინგრელსკის ლეჩხუმელი გლეხები დაუიმედებია, რომ ადგილი, რომლის ათმობასაც გლეხები თხოულობდნენ, ეცდება, მათ გადაეცეს.

◆ მინგრელსკის მოურავის ალ. ალშიბაიასი და ვ. ჯაფარიძის საქმე, რომელთაც გლეხი კანეიას მოკვლა ბრალდებათ, 1914 წლის 19 თებერვლისთვის არის დანიშნული. ბრალდებულნი, როგორც ვიცით, თავდებით არიან განთავისუფლებულნი.

ზუგდიდის მაზრის სოფელ ზენში თავად ჩიქუებს 400 დესეტინა მიწა მიუყიდიათ რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის. ეს უკანასკნელნი შესდგომიან მეურნეობას გაუმჯობესებულნი საშუალებით, გამოუწერიათ ორთქლის გუთანი და სხ., მაგრამ, როგორც სარწმუნო პირებმა გადმოგვცეს, გადმოსახლებულთ მოლოდინი არ გამართლებიათ და ახლა კვლავ აპირებენ ამ ადგილების გაყიდვას.

◆ სამეგრელოს მთავრის ერთ-ერთი შთამომავლის ანდრია დადიანის მამულზე დასახლებული გერმანელნიც აპირებენ, თურმე, თავისი მამულის გაყიდვას, რადგან, როგორც თვით ამ ადგილების ერთმა მესაკუთრეთაგანმა გადმოგვცა, ვერ შესთვისებიან ადგილობრივ პირობებს და მეურნეობაც ვერ დაუყენებიათ იმ სახით, რა სახითაც მათ განზრახული ჰქონდათ.

ჩოხატაური.

◆ ჩოხატაურში მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის ინსპექტორი ბ. ემილჟანის მეთაურობით დაიწყო მყნობის კურსები და ლექციები მევენახეობაზე, რომელიც ერთ კვირას გასტანს.

ბათომი

◆ შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის მუშაობა უკვე დაიწყო.

ბაქო

◆ გაზეთი „ბაკუ" სწერს: ადგილობრივ ოფიციალურ წრეებში ხმა დადის, განათლების მინისტრი კასო ამ ცოტა ხანში კავკასიას ესტუმრება, რათა დაწვრილებით გაეცნოს პოლიტეხნიკუმის აგების საქმეს. კასო აგრეთვე დაათვალიერებს ადგილობრივ სასწავლებლებსა, იგი ბაქოსაც ესტუმრება.

◆ პარასკევს, 6 დეკემბერს, ქ. ბაქოში, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, შუადღის 12 საათზე დანიშნულია ბაქოს ქართულ სალიტერატურო-სამხატვრო წრის წევრთა წლიური კრება. გასარჩევია: 1) მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო

ტფილისი, სტამბა „შრომა" მიხეილის ქუჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიისა; 2) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა; 3) გამგეობის და სარ. კომისიის წევრთა არჩევნები; 4) მიმდინარე საქმეები. გამგეობა სთხოვს წევრებს, ნუ დააკლდებიან და ნუ დაიგვიანებენ კრებაზე.

შეცდომის გასწორება. გუშინწინდელ ახალ ამბავში შეცდომით იყო აღნიშნული სანდრო შანშიაშვილის ახალი ნაწარმოების სათაური „უგვირგვინო". უნდა იყოს „**უგვირგვინო მეფენი**".

პატარა ხატისოვები

ტფილისელ სოლოლაკელთა დიპლომატიური ხრიკები, როგორც ეტყობა, პროვინციაშიც კარგად შეუთვისებიათ. საბედნიეროდ, ეხლა ქართველი კაცი, თუნდაც იგი პროვინციელი იყოს, ისეთი ხეპრე აღარ არის, რომ ადვილად არ დაინახოს და სათანადოდ არ დააფასოს ეს ხრიკოსნები. გაზეთ „ზაკავკაზიეს" სიღნაღიდან ატყობინებენ ერთ უცნაურს ამბავს, რომელსაც ფრიად დამახასიათებელი მნიშვნელობა აქვს. სიღნაღის ქალაქის მოურავის მოადგილეს შემდეგი მოსაზრება წარუდგენია უმაღლეს ადმინისტრაციისათვის: ქალაქი სიღნაღი გაიყოს ორ საარჩევნო უბნად: 1—ქალაქის შუაგული და ნუკრიანის ქვეითა ნაწილი, 2—ზემო ნუკრიანი, მაღარო და ქოტორი. პირველი საარჩევნო ნაწილიდან 600 ამომრჩეველი ირჩევს 10 ხმოსანს, ხოლო მეორე საარჩევნო უბნიდან 650 ამომრჩეველი—5 ხმოსანს.

პირდაპირ არც კი ვიცი, ამ საქმეს რა სახელი ვუწოდო. მასხრობაა, თუ რა არის? ან ქალაქის მოურავის მოადგილეს სიღნაღის ამომრჩევლები თავის ოჯახის ავეჯად ხომ არ მიაჩნია, რომ საითაც მოეპრიანება, იქით უკრას თავი? თავი დავანებოთ იურიდიულ მხარეს, ნუ გამოვეკიდებით იმ გარემოებას, რომ კანონით ქალაქის მოურავს არავითარი უფლება არა აქვს განმარტივებულ საქალაქო თვითმმართველობებში ასეთი დანაწილება მოახდინოს. რასა ფიქრობდა სიღნაღის მოადგილის თანაშემწე, როდესაც ასეთ კომიკურ წინადადებასა სწერდა? რომელი მოსაზრების ძალით უნდა მიეცეს 600 ამომრჩეველს ათისა და 650 ამომრჩეველს კი ხუთი ხმოსნის არჩევის უფლება?

მიზანი კარგად ვიცით. ქალაქის ცენტრში სომხის ვაჭრები სცხოვრობენ და განაპირა უბნებში კი—ღარიბი ქართველი სოფლელები. სიღნაღის ქალაქის მოურავის მოადგილეს უნდა ქალაქის საარჩევნო უბნებად დაყოფის საშუალებით ერთბაშად მოსპოს წინააღმდეგობა ქართველ დემოკრატიულ ამომრჩევლებისა და ქალაქის თვითმმართველობა ისევ სომხის ვაჭრებს ჩაუგდოს ხელში.

მიზანი კი ვიცით, მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, არ გვეგონა, თუ ცინიზმი ასეთს გულ-ახდილობამდე მივიდოდა. დალოცვილს, რადა ხუთი ხმოსანი დაურჩენია! გაეყო ქალაქი ორ ნაწილად და ეთქვა: ერთი ნაწილი 14 კაცს ირჩევს, მეორე კი ერთსო, ვინ დაუშლიდა?

სიღნაღში ამ რამდენისამე წლის განმავლობაში უკვე საკმაოდ დიდი დემოკრატიული ოპოზიცია შესდგა, და, სიღნაღის თვითმმართველობის ძველს მესვეურებს, სხვა რომ ვეღარაფერი გაუწყვიათ, მექანიკური დანაწილების საშუალებით ჰსურთ მოსპონ ძალა წინააღმდეგობისა.

უმაღლეს ადმინისტრაციასა სთხოვენ დახმარებას.

ვინ იცის, იქნება ასეთი უცნაური თხოვნაც დააკმაყოფილონ!

ეხლა ხომ მათი „თაფლის თვეა?"

გ. ბარელი.

დღიური

ილია ჭავჭავაძის სახლი.

სამწუხაროა, რომ ხშირად საჭიროა ჩვენში ისეთი აზრების განმეორება, რომელთა სიმართლე და ჭეშმარიტება მეტად ნათელია და რომელთა მნიშვნელობა ყველას შეგნებული და შეთვისებული უნდა ჰქონდეს. ასეთი საანბანო ჭეშმარიტებაა, სხვათა შორის, ის, რომ გამოჩენილ ადამიანებისადმი პატივისცემა ისე სავალდებულო მოთხოვნილებაა საზოგადოების ყოველის გახათლებულის წევრისათვის, როგორც საკუთარის პირადობის და ღირსების დაცვა, ვინაიდგან დიდებული მამულიშვილი, სახელოვანი მოქალაქე, ძლიერი მხატვარი და შემომქმედი განუყოფელი, განუშორებელი ნაწილია ჩვენი გონებრივი-ზნეობრივი პიროვნებისა, ჩვენი ეროვნულის არსების დედა ძარღვია, ჩვენი მოქალაქობრივობის უმტკიცესი საძირკველია და თუ ოდნავად შეგვრჩენია პირადი თავმოყვარეობა, პატივისცემა ეროვნებისა და სიყვარული საზოგადოებრივი თვითმოქმედებისა, აუცილებლივ ღრმად უნდა ვაფასებდეთ ყოველს ნიჭს, დიდად პატივს უნდა ვსცემდეთ ჩვენი სულიერობის საუკეთესო გამომსახველებს, ჩვენი ცხოვრების ბრწყინვალე ლამპრებს, მაღალის გონებით მოსილს მამულიშვილებს.

არა არის რა იმაზე უსაზიზღრესი, უმდაბლესი ნაკლი, როგორიცაა დავიწყება, აბუჩად აგდება, არ მოგონება, არ შეგნება სახელოვანის წინაპრების, გარდასრულის მოღვაწეების, ძვირფასი მასწავლებლებისა. არა არის რა იმაზე უფრო მოსაწონი, სათაყვანებელი თვისება ადამიანისა, როგორიცაა მარად მოგონება საყვარელი საფლავებისა, მათი ხშირი ნახვა და შემკობა ყვავილებითა და ნაზის სევდით, იდუმალის ალერსით და უხილავის ცრემლებით. სიმშვენიერეს სულისას ისე ცოცხლების პატივისცემა არ გამოჰხატავს, როგორც სიყვარული, ხსენება გარდაცვალებულთა გმირთა, თავგანწირულ მეომართა, საარსებო გზის მკვლევართა და ცხოვრების ტვირთის შემსუბუქებელ მოქალაქეთა. ეს სიყვარული უდიდესი სილამაზით და კეთილშობილობით ამკობს ჩვენს სულს, აღავსებს მას ციურის რწმენით და მასთანავე ანიჭებს სიძლიერეს, სიმხნევეს, გაბედულობას და დაუშრეტელს უნარს შრომისა და მოქმედებისას.

მთელი ჩვენი სიცოცხლე მშრალი, უგემური არსებობა იქნებოდა, მოკლებული მეტ წილს შინაარს, რომ იგი მხოლოდ აწმყო იყოს, მხოლოდ ის, რაც არის, რასაც დღეს ვხედავთ და ვგრძნობთ. ცხოვრება როგორც კერძო ისე საზოგადოებრივი მით უფრო მდიდარია და საინტერესო, რაც უფრო მეტია ჩაქსოვილი წარსული გაცხოველებული, სულის კვეთება და სიმამაცე ყოფილთა, სიყვარული იმათი, რომელთა მეოხებით გვაქვს დღეს საუნჯე და ყოველივე ის, რაც შეადგენს ჩვენს კულტურას, სულიერის სიმდიდრეს, საფუძველს აწმყოსი, და მომავლისას. საძაგელი, სამარცხვინო, არა საპატიებელი უმადურობაა, მოწიწებით და თაყვანისცემით არ მოვიგონოთ ის, ვინც არ დაერიდა არავითარს სიმწარეს, სატანჯველს, ვაებას იმიტომ, რომ ჩვენი არსებობა უზრუნველეყო და გაემშვენიერებინა, ვინც დადნო თავისი გული, შეუზავა თავისი ძარღვების წვენი, ამით ჩამოქნა სანთელი და გზა გაგვინათა, წყვდიადი გაფანტა და კარი გაგვიღო უკეთეს ცხოვრებისაკენ!

ეს სიყვარული გარდასულ გმირთა არაა დამარხვა აწმყოს და მომავლისა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ უკუმივიქცეთ და აღვადგინოთ ის, რაც იყო და არ შევქმნათ სხვა, მომავალი. ეს არ ნიშნავს ცხოვრების ჩარხის შებრუნებას, უკუღმა დატრიალებას. არა. ეს ძლიერი სიყვარულია სწორედ მომავლისა. დიდებულ, ბრწყინვალე მომავლისა. შეუძლებელია გვიყვარდეს ჩვენი ბედნიერი, თავისუფალი, სამართლიანი, მშვენიერ ყოფადი და არ გვიყვარდეს წარსულიდან გადმოსული სილამაზე ამ ყოფადში, არ გვიყვარდეს ის, ვინც შექმნა და გვიანდერძა ეს სიმდიდრე მომავალის საძირკვლად და ასაშენებლად. პირიქით, რაც უფრო შეგნებით და ძლიერად გვიყვარს სიკეთე აწმყოს და მომავლის, მით უფრო ძლიერად დავაფასებთ, ხშირად მოვიგონებთ და ალერსით შევამკობთ წარსულის სიკეთეს და მის შემომქმედთ და დამამკვიდრებელთ.

ეს მუდამ მოსაგონებელი, დღე და ღამ განსამეორებელი მცნება უნდა იყვეს ჩვენთვის, რომლებიც ასე ნაკლებ პატივსა ვსცემთ გარდაცვლილ მოღვაწეებს, ერთგულს მამულიშვილებს, ჩვენის ეროვნულის საგანძურის დამამშვენებელთ. ჩვენი პატივისცემა გარდასულებისადმი მარტო მორთულს დასაფლავებაში გამოიხატება. დავასაფლავებთ ძვირფას ადამიანს დიდი ზეიმითა და ყვირილით, ხოლო ორი-სამი დღის შემდეგ მისი სახსენებელი გაჰქრება ჩვენი გულიდამ და რამე განსაკუთრებულის იშვიათის შემთხვევისა გამო თუ მოვიგონებთ რამდენისამე წლის შემდეგ. ასე სამარცხვინოდ ვეპყრობით ისეთ დიდბუნებოვანს ახალს მიცვალებულთ მამულიშვილებსაც კი, როგორიც იყო განსვენებული ილია ჭავჭავაძე. მე არ მოვიგონებ ახლა აქ მთელს იმ აურზაურს, რომელიც ავტეხეთ მისი საფლავის გარეშემო და რომელიც ჩვენი უკულტურობისა და ჩვენი მისდამი უპატივცემლობას გამომსახველია მხოლოდ. ბევრნაირად არ ვიცით პატივი დიდებულის გვამს, მაგრამ გავიხსენებ მარტო ერთს გარემოებას. მე მოგახსენებთ მისი სახლის შესახებ, რომელიც იმყოფება ტფილისში, რომელიც ჩვენის დაუდევრობისა და უგულობის წყალობით აფორიაქდა, განადგურდა და საჯაროდ გასაყიდად დაინიშნა. ეს სახლი წერა-კითხვის საზოგადოებას დარჩა, მაგრამ დაგირავებული იყო ტფილისის სათავადაზნაურო ბანკში; და აი სამი-ოთხის წლის წინად იმ ბანკმა, რომელის კეთილდღეობას იმდენი ღვაწლი დასდო განსვენებულმა, გამოუცხადა წ. კ. საზოგადოებას: საჩქაროდ გაანთავისუფლე სახლი ილიას ნივთებისაგან, რადგან უნდა გავყიდოთო. საზოგადოების გამგეობა იძულებული შეიქნა ჩაედინა ბარბაროსობა, დასცალა სახლი, გაანადგურა ილიას კაბინეტი, დარბაზი, მათი მორთულობა, რომელიც დაცული იყო იმ სახით, როგორც ჰქონდა თვითონ ილიას. რა საყვარელი, საალერსო, საგონებელი წამი უნდა ყოფილიყო ყველაფერი ეს როგორც ჩვენთვის, ისე უფრო მომავალი თაობისათვის! რა ძვირფასი სანახავი იქნებოდა შესანიშნავი პოეტის მაგიდა, კედლების მოწყობილობა, სურათები, თავისებურად დალაგებული წიგნები რომლებიც შეადგენდენ იმ სულიერ წრეს, სადაც ფიქრობდა, ჰგრძნობდა, ოცნებობდა მაღალი ნიჭი და ძლიერი გული.. ყოველივე ეს დღეს წაშლილია, მოსპობილია, აღარ არის! ჩვენ ვერ შევძელით დაგვეცვა უძვირფასესი სიწმინდე და გადაგვეცა ეროვნულ ტაძრად შვილებისათვის!

შეიძლება ახლა ამის აღდგენა? შეიძლება დავუბრუნოთ ილიას კაბინეთს წინანდელი სახე? საეჭვოა, საეჭვოა! შეიძლება კი ცოტათი მაინც მიუახლოვდეთ სინამდვილეს, ცოტათი აღვადგინოთ დანგრეული ტაძარი, თუ ილიას სახლი საჯაროდ არ გაიყიდება, თუ წ. კ. საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე არჩეული კომისია შეასრულებს თავის მოვალეობას, შეაგროვებს 6—7 ათას მანეთს და ბანკიდან გამოისყიდის ისტორიულს სახლს!

ცოტა მაინც, თუ მთლად არა! ისევ გვიან, ვიდრე არასოდეს! ხელი გავუწოდოთ ყველამ კომისიას ნაკისრი საქმის შესასრულებლად.

სიტყვა.

მჭედლის სიმღერა

ჩემი ჩანგი ცეცხლი არის,
ცეცხლში იშვა ჩემი რწმენა,
ცეცხლში არის ჩემი ბედი,
სიხარული, ალმაფრენა.

—

ქურა ქშინავს, საზერველი
გუზგუზა ცეცხლს უმღერს ნანას,
ჩაქუჩი სცემს,—გრდემლის მკერდზედ
სჭედს მომავლის გამოცანას,
მე კი ვმღერი, ვმღერი მარად,
მით ვიამებ გულის ტკივილს,
გრდემლის ზანზარს ვატან სევდებს,
სულის კვნესას, სულის კივილს,
მე წარსულის ტანჯვა-კვნესა
მყობადისას შევუერთე,
დავსწვი ცეცხლში და იმედათ
მომავალი გავალმერთე.
თუ დღეს ტანჯვა წილ მხვედრია,
გულში სცოცხლობს კვლავ იმედი,
კოჟრიან ხელს სურს გასჭედოს
გრდემლის მკერდზედ ჩემი ბედი.
კაეშანმა ვერ დამჯაბნოს,
ვერ დამჯაბნოს შრომის შვილი,
გაჭირვების ცეცხლში მყოფი
და ტანჯვაში გამოცდილი.
მე ცეცხლის ალს შევუერთებ
სულის შფოთვას, გულის ტირილს
და ავაწყობ ჩემ ცეცხლ-ჩანგზედ
ცეცხლის ალში ნაშობს ჰანგს ტკბილს...

—

ქურა ქშინავს, საზერველი გუზგუზა ცეცხლს უმღერს ნანას,
მე კი ვსჭედავ გრდემლის მკერდზედ მომავალის გამოცანას.

ი. ვადაჭკორია.

ტფ. ქალაქის საბჭო

2 დეკემბრის კრება[*].

სასალახოს გარშემო.

ქალაქის გამგეობა სასალახოს საჭიროებათათვის დამატებით თანხის გადადებას თხოულობს. გამგეობის მოხსენების შინაარსი მოკლედ ასეთია:

1910 წლის 10 მაისს ქალაქის საბჭომ დაამტკიცა პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა (900,000 მან.) ქალაქის ახალ სასალახოსი და გამგეობასა და სააღმასრულებლო კომისიას დაავალა, შენობის საქმის მსვლელობისა და სასალახოს საჭიროებათა მიხედვით შესცვალოს როგორც ზომა და ღირებულება, ისე საკონსტრუქციო მხარე ცალ-ცალკე შენობებისა იმ პირობით კი, რომ მთელი ხარჯი გადადებულ 900,000 მან. არ აღემატოს. სასალახოსი აგრეთვე ბაკის შენობები ამ ჟამად სრულიად დამთავრებულია და ახლა შედარებით მცირე სამუშაო სრულდება, რომლის ხარჯის გათვალისწინება ადვილია. სასალახოზე იმაზე მეტი იხარჯება, რაც გადადებული იყო. სასალახოს შენობაზე, მიწის სამუშაოზე და სატეხნიკო კონტროლზე ექსპერტების მოწვევით ზედმეტად დაიხარჯა 7,111 მან. 93 კაპ., ხოლო შენობის მოწყობაზე—43,527 მან. 92 კ., რაც სულ შეადგენს 50,639 მან. 85 კ., ამ რიგად მთელი სამუშაოს დასასრულებლად საჭიროა ეს ჯამი. ამას გარდა საჭიროა 68,120 მან. 15 კ., სასალახოს კრედიტის აღსადგენად. ამ მოსაზრებათა მიხედვით ქალაქის გამგეობა თვის მოხსენებაში საბჭოს წინაშე შუამდგომლობს გადასდოს სულ 118,760 მან.

ხმ. პ. დოლუხანოვი. გამგეობის მოხსენებიდან სჩანს, რომ სასალახოზე ზედ-მეტი ფული დახარჯულა იმის გამო, რომ გამგეობას შეუსრულებია ისეთი სამუშაო, რომელიც პროექტში არ იყო. გამგეობა მოვალე იყო ფულის დახარჯვამდე საბჭოს შეჰკითხებოდა, მაგრამ ახლა რაღა გაეწყობა? ფული უნდა გადავდოთ, ხოლო ამასთანავე დავავალოთ გამგეობას, მომავალში ასე აღარ მოიქცეს.

ხმ. ი. სულაბერიძე. ქალაქის გამგეობა თვის მოხსენებაში სცდილობს საბჭო დაარწმუნოს, რომ სასალახოზე ზედმეტად 50,000 მან. დახარჯა. ეს სიმართლეს არ შეეფერება. ზედმეტად დახარჯულ ფულის რაოდენობა დიდია. როგორც გამგეობის მოხსენებიდან სჩანს, გამგეობას 18 მუხლის ხარჯი 62,000 მანეთით შეუმცირებია. აქედან 14,000 მან. ეკონომია მე უაზრობად მიმაჩნია, რადგანაც გამგეობამ არ ააშენა ტყავეულობის დასაწყობი ბეღელი და ქონის გასადნობი ქარხანა, რომლის საჭიროებაც აღიარებულია როგორც სასანიტარო, ისე საეკონომიო მოსაზრებათა გამო. რაც შეეხება ეკონომიას, ეს სრულიადაც არ შეადგენს მოულოდნელ ამბავს, რადგანაც 1910 წ. 10 მაისს, როდესაც ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდა, ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ხარჯთ-აღრიცხვა იმდენად ფართოდ არის შედგენილი, რომ ყოვლად შეუძლებელია დეფიციტი, პირიქით ფული მორჩება. საამშენებლო ნაწილის მაშინდელმა გამგემ ა. ი. ხატისოვმა განაცხადა: „უკეთესია ფული დაგვრჩეს, ვიდრე დეფიციტი მივიღოთო".

თავმჯდომარე. ეგ სიმართლე არ არის!

ხმ. სულაბერიძე (კითხულობს დაბეჭდილ ოქმს, თვის სიმართლეს ამტკიცებს და განაგრძობს). სამწუხაროდ წინასწარმეტყველებამ არ გამართლდა და ზარალი მოვიდა, რომლის ასაფარავადაც საკმარისი არ არის ის 62,000 მან., რომელიც გამგეობისა და სააღმასრულებლო კომისიის ეკონომიას შეადგენს—ხარჯთ-აღრიცხვის 17 მუხლის განხორციელებაზე, გამგეობას 104,891 მან. ზედმეტი ხარჯი მოსვლია იმ ზედმეტ—წვრილ ხარჯების გარდა, რომლის საწინააღმდეგოც არა მაქვს რა. ზედმეტ ხარჯებს შორის არის ისეთი ჯამები, რომლის ადგილიც იქ არ უნდა იყოს, მაგალითად, მეორე სართული საყინულე განყოფილებაზე (32, 307 მან), საპუნქტო ბეითლის კანტორის შენობა (8,800 მან.) და სხვა სრულიად არ იყო პროექტში და გამგეობამ თვის ნებით, საბჭოს დაუკითხავად, ამაზე ხარჯი გასწია; ამას გარდა ზედმეტ ხარჯებში ნაჩვენებია 2,300 მან. რომლითაც გასაწმენდი მანქანა უყიდნიათ იმის და მიუხედავად, რომ 1911 წლის 8 მარტს საბჭომ დაადგინა, ეს მანქანა დასაზღვევ ფონდიდან ეყიდა. საყინულე შენობასა და საუტილიზაციო ქარხანასა და სხვებზე ზედმეტად დიდი ფული დახარჯულა—35,700 მან. ამ რიგად უაზროდ ზედმეტად დახარჯულ ფულის რაოდენობა 90.000 მ. უდრის. ამას რომ მივუმატოთ ის 62,000 მან., რომელიც ეკონომიას შეადგენდა და დაიხარჯა, შეადგენს 152,000 მან., რომლის მოხმარებაც შეიძლებოდა ქალაქის სხვა საჭიროებებზე. ამ რიგად გამგეობამ დაარღვია საბჭოს კატეგორიული დადგენილება, 900,000 მანეთზე მეტი ფული არ დახარჯოო, დაარღვია კანონიც და უაზროდ ამოდენა ფული გადაჰყარა, რის გამოც 900,000 მან. ფული კი არ მორჩა, პირიქით სხვა ფულის ზედ დადება გახდა საჭირო. შეიქმნა ისეთი გარემოება, რომ სასალახოს შემოსავალი ვერ დაჰფარავს ხარჯებს, რომელიც საჭიროა სასალახოზე დახარჯულ ფულის პროცენტებისა და ექსპლუატაციის ხარჯებისთვის.

ხმ. გოთუა. რომელი ხარჯიც გაუწევია გამგეობას, ის აუცილებლად უნდა მივიღოთ. ახალ ხარჯების გაღებას კი უნდა ვერიდოთ, რადგანაც შესაძლებელია კატასტროფა ამ სასალახოსი. აი რა კატასტროფაა მოსალოდნელი: მეფის მოადგილის რეზოლუციით განზრახულია პოლიტეხნიკუმის აშენება ნავთლუღში.

თავმჯდომარე (ღიმილით). ილაპარაკეთ სასალახოზე. პოლიტეხნიკუმს ნუ ეხებით.

ხმ. გოთუა. სწორედ სასალახოზე ვლაპარაკობ. თუ პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში განხორციელდა...

თავმჯდომარე (აღელვებით და ხმა მაღლა). უეჭველად განხორციელდება, უეჭველად.

ხმ. გოთუა. ჯერ ეგ არავინ იცის...

ხმ. ბაბოვი (უცებ დაცინვით წამოიძახებს). მართალია, გოთუას მეტი ძალა აქვს, ვიდრე მეფის მოადგილეს!

ხმ. გოთუა. პოლიტეხნიკუმისა და სასალახოს მეზობლობა ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში თუ ააშენეს, აუცილებლად დაგვჭირდება სასალახოს დანგრევა და ერთის მილიონ მანეთის გადაყრა.

საბჭო ხმის უმეტესობით გამგეობის წინადადებას იღებს.

რუსეთი

კოკოვცევი და მაკლაკოვი.

პოლიტიკოსთა წრეებში დაჟინებით ამბობენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა მინისტრის უთანხმოებაზე. დიდ მნიშვნელობას აწერენ კოკოვცევის ლივადიაში წასვლას. თურმე შინაგან საქმეთა მინისტრი მაკლაკოვი კოკოვცევზე ადრე აპირებდა ლივადიაში წასვლას მეფისთვის განმარტების მისაცემად; მაგრამ, როგორც ვხედავთ, მაკლაკოვს კოკოვცევის შემდეგ უხდება წასვლა. მინისტრთა შორის უთანხმოებანი გამოწვეულია არა მარტო შტრიუმერის კანდიდატურის საკითხით და ხარკოვის სამკურნალო საზოგადოების დაკეტვით, არამედ მრავალი სხვა საკითხით. თავრიდის სასახლეში ამბობენ, რომ მინისტრი მაკლაკოვი, წინააღმდეგ დაწესებულ ტრადიციისა, სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდა, თავის უფლებით ითხოვდა და ჰნიშნავდა გუბერნატორებს, არ ამტკიცებდა საგუბერნიო ერობის თავმჯდომარეებს და სხვა. ამის თაობაზე კოკოვცევს თურმე ცხარე ლაპარაკი ჰქონია მაკლაკოვთან, მინისტრთა უმრავლესობას კოკოვცევის მხარე უჭერია.

მაკლაკოვი და სათათბიროს წევრნი.

სახელმწიფო სათათბიროში ბევრს ლაპარაკობდნენ დეპუტატები მინისტრ მაკლაკოვის სიტყვის თაობაზე, რომელიც წარმოსთქვა ბეჭდვითი სიტყვის კომისიაში. დეპუტატები გაკვირვებულნი არიან ახალგაზდა მინისტრის უსაფუძვლო მსჯელობით. განსაკუთრებით გააცვიფრა დეპუტატები მინისტრის შეხედულებამ საზოგადოებრივ აზრზე მინისტრისთვის არ არსებობს საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოების ავტორიტეტის გავლენა. ამიტომაც არის, რომ მინისტრის კანონ-პროექტში ეს საზოგადოებრივი აზრი სრულიადაც არ არის მოხსენებული მინისტრმა თავის სიტყვით ფრიად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. მას მხარს უჭერდა მხოლოდ პურიშკევიჩი. ისიც, როდესაც მინისტრმა სიტყვა დაათავა, პურიშკევიჩსაც რაღაც განცვიფრების ელფერი გადაეკრა.

მოსკოვის ქალაქის მოურავი.

დანამდვილებით იტყობინებიან, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატი კატუარი მოსკოვის ქალაქის მოურავად დამტკიცდება.

განხეთქილება ოქტომბრისტების ფრაქციაში.

სახ. სათათბიროს ოქტომბრისტების ფრაქციაში განხეთქილება მოხდა. ფრაქციიდან თოთხმეტი დეპუტატი გავიდა. წინანდელ რეზოლუციის დამატებად ფრაქციამ 3 დეკემბერს დაადგინა: პარტიულ კრების დადგენილებანი სახელმძღვანელოდ მიიღოს. ამ დადგენილებას კი მხედველობაში აქვს ერთობრივი ხმის მიცემა და უპირველესად იმ კანონ-პროექტების განხილვა, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტს ანხორციელებს. თუ ვინიცობაა ეს კანონ-პროექტები მთავრობამ არ შეიტანა, ფრაქცია თვითონ შეიტანს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. გალა-წარმოდგენა. დრ. საზ. გამგეობამ შემოიღო. გალა-წარმოდგენების მართვა. დღეს წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის „**სიმახინჯე**". სონას როლს შეასრულებს ნ. ჩხეიძე, დაიდგმება აგრეთვე ვ. გუნიასი „**რაც არ მერგება, არ შემერგება**" ვ. აბაშიძის, ვ. გუნიას და ტასო აბაშიძის მონაწილეობით. პირველ გალა-წარმოდგენას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო.

მზადდება ახალი დეკორაციები „**დამარცხებულ რომისათვის**" და „**ახალ მოძღვრებისათვის**".

„**ახალი მოძღვრებისათვის**", რომელიც იდგმება მსახიობ ქალის მარო მდივანის საბენეფისოდ, რეჟისორს ვალ. შალიკაშვილს შეუმუშავებია ახალი მიზანსცენები.

ბაქო. 1 დეკემბერს დრამატიული წრის დასმა წარმოადგინა ბელოის ოთხ-მოქმედებიანი დრამა „იუდას ამბორი". თუმცა პიესა ბაქოელებისთვის ახალი იყო, მაგრამ შინაარსის მხრივ იგი ახალს არაფერს წარმოადგენდა. თუ არა ვცდები, ეს პიესა ჩვენ დიდ სცენებზედაც წარმოუდგენიათ. გარდა იმისა, რომ პიესა გაჭიანურებული და უსიცოცხლოა, იგი მეტად უცნაურად თავდება: დრამის გმირი-ქალი მისდევს ისეთ კაცს, რომელიც ეჯავრება, რომლის ერთი დანახვაც-კი საშინელ ზიზღსა და სასოწარკვეთილებას იწვევს მასში. ასეთი ბოლო სრულიად მოულოდნელია მაყურებლისთვის და იგი განცვიფრებული რჩება.

დრამა ურიგოდ არ იყო წარმოდგენილი. პიესაში სულ ხუთი მოქმედი პირია და ხუთივე მსახიობი სცდილობდა სული ჩაედგა დრამისთვის. ვურჩევთ მხოლოდ მსახიობებს, ერიდნენ ყველა როლში გადაჭარბებას. მესამე მოქმედებაში, მაგალითად, მოთამაშენი ისე დაეხარბნენ არაყს, რომ ერთბაშად, უსუნთქებლივ ათ-ათი ჭიქა გადაჰკრეს.

კვლავ უნდა აღვნიშნო თეატრში მოსიარულე საზოგადოების უწესრიგობა. წარმოდგენები ბაქოში ცხრის ნახევარზე იწყება და, მიუხედავად ამისა, ზოგიერთები მაინც იგვიანებენ. ცხრასა და ათის ნახევარზე, როდესაც სცენაზე წარმოდგენაა, ესენი დარბაზში სიარულით და ადგილების ძებნით, ხელს უშლიან დანარჩენთ. ამათზე არავითარი ხვეწნა და მუდარა არა მოქმედებს. ამას გარდა, ზოგს ორი და სამი წლის ბავშვები მოჰყავთ თან და იშვიათია ისეთი მოქმედება, რომ დარბაზში ბავშვის ტირილი ან სიცილი არ გაისმოდეს.

შემდეგ კვირისთვის (8 დეკემბერს) დრამატიული წრე მართავს სადღესასწაულო საღამოს სუფლიორის მიხეილ მარჯანიშვილის ოცი წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნა-

---

[*] იხ. „სახალ. გაზ." № 1059.

ვად. მარჯნიშვილი ერთი იმ მუშაკთაგანია, რომელთა სასარგებლო მუშაობას საზოგადოება სულ ვერა ჰხედავს. მით უმეტეს საქებურია ასეთი ადამიანი, რომ იგი სახელისთვის კი არა მუშაობს, არამედ თვით საქმის საკეთილოდ და წარსამატებლად.

მ. მარჯნიშვილმა სცენაზე მოღვაწეობა დაიწყო 1892 წელს ქუთაისს, როდესაც ქართული სცენის მსახიობმა კოტე მესხმა პირველად შეადგინა მუდმივი დასი და დაიწყო სისტემატიური წარმოდგენების მართვა (ქუთაისის ბულვარში, ხის პავილიონში) შემდეგ ეს პავილიონი დაიწვა და მესხი ტფილისს დაუბრუნდა. მარჯნიშვილის და სხვათა ინიციატივით შესდგა ქუთაისში მსახიობთა ამხანაგობა, რომელიც ხშირად იწვევდა გასტროლებზე ვლ. მესხიშვილის და სხვა ჩვენ პირველ ხარისხოვან მსახიობებს. დასი თან და თან შეივსო და ბოლოს მესხიშვილის ხელმძღვანელობით ამ დასმა დიდი ყურადღება მიიქცია არა მარტო ქუთაისის საზოგადოებისა. შემდეგ ხომ დრამატიული საზოგადოებაც დაარსდა ქუთაისს. ამ ხნის განმავლობაში მ. მარჯნიშვილი განუწყვეტლივ მუშაობდა სცენაზე სუფლიორად. 1909 წელს შემოდგომაზე მარჯნიშვილი ბაქოში გადმოსახლდა და მეორე დღესვე აქაურმა დრამატიულმა სექციამ მიიწვია იგი წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად. გარდა ამისა მარჯნიშვილს მრავალი პიესაც აქვს გადმოთარგმნილი.

ბაქოელი საზოგადოება, ეჭვი არ არის, დააფასებს ამ ადამიანის უჩინარ, მაგრამ სასარგებლო მოღვაწეობას ოცი წლის განმავლობაში და ბლომად დაესწრება ამ მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ საღამოს. დასდგამენ დრამას „ცხოვრების გმირს".

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

14 დეკემბერი.

უცხოეთი.

მელბურნი. კუნძულ ამბრიზე ცეცხლის მფრქვევმა მთამ ამოხეთქა. ცეცხლის ფრქვევა 24 ნოემბერს დასრულდა; დაიქცა მთა მინი. მრავალი სოფელი ნაცარ-ტუტას ქვეშ მოჰყვა. კუნძულის მცხოვრებნი ნავებით ზღვაში გავიდნენ და იქ უშველეს თავს. მრავალი მკვიდრი დაღუპულა.

ვენა. ავსტრიის დელეგაცია. ბერტჰოლდი განმარტებას იძლევა ბალკანეთის კრიზისის თაობაზე. ბერტჰოლდს მოჰყავს ერენტალის განმარტება, სადაც დაწვრილებით არის აღნიშნული სამხედრო, საპოლიტიკო და საფინანსო მოსაზრებანი და სანჯაყის დაპყრობა. დამოუკიდებელ ალბანეთის შექმნის აზრი ჩემს წინამოადგილეებსაც ჰქონდათო, სთქვა მინისტრმა. მინისტრი მძიმე პასუხისმგებლობას იკისრებდა, თუ ალბანეთის ხალხისადმი შესწყვეტდა იმ ურთიერთობას, რაიცა მონარქიას ძველადვე ჰქონდა განმტკიცებულიო. დამოუკიდებელ ალბანეთის შექმნა ლოღიკური დასკვნაა ბალკანეთის სახელმწიფოთა თავისუფლების პრინციპისა, რომელსაც ბერტოჰლდი მისდევსო. საჭირო იყო ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ძალთა გათანასწორება განსაკუთრებით კი ადრიატზეო. ალბანეთის ავტონომია ამ მიზნითა შეიქმნაო. უიმედობა, უნუგეშობა ალბანეთის მიმართ, რომ იგი ცხოველმყოფელი ვერ გამოდგებაო, უსაფუძვლო და მცდარია. მინისტრი იმედოვნებს, ალბანეთი მონარქიისთვის ძლიერ ეკონომიურ ფაქტორთაგანი იქნებაო. მინისტრი უკმაყოფილებას გამოსთქვამს კლოფაჩის განცხადების გამო, თითქოს ბულგარეთს მეორე ომი მონარქიის, დახმარების იმედით დაეწყოს, მონარქიისა და სერბიის ურთიერთობა ეხლა უფრო კეთილგანწყობილია, ვიდრე ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებთან. მინისტრი სურვილს გამოსთქვამს ისტორიას ჩაჰბარდეს ის უთანხმოებანი, რასაც ადგილი ჰქონდა ბალკანეთის კრიზისის დროს სერბიასთანო.

სტამბოლი. დიდმა ვეზირმა პასუხი შეუთვალა სამთა შეთანხმების ელჩებს გერმანიის სამხედრო მისიის შესახებ. ვეზირის სიტყვით, მისიას მხოლოდ სამხედრო და სადიპლომატო ხასიათი აქვს, გერმანიის მისიას არ ევალება ქალაქის მშვიდობიანობაზე ზრუნვა, დარდანელის დაცვა და სხვ. მას განსაზღვრული ვალდებულებანი ეკისრება და სამხედრო მინისტრს ემორჩილება.

ვაშინგტონი. წარმომადგენელთა პალატამ საემიგრანტო კანონ-პროექტი მოიწონა. პირველ ყოვლისა ემიგრანტი უნდა იყოს წერა-კითხვის მცოდნე. გარდა ამისა კანონპროექტი მოითხოვს იმ ემიგრანტთა გაძევებას, რომელნიც ამერიკაში იქნებიან მომხრენი და მქადაგებელი კერძო საკუთრების უკანონო დარღვევისა, არსებულ მთავრობის დამხობისა, საზოგადო მოღვაწეთა მოკვლისა და სხვა.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იტყობინება: ამ ბოლო დროს გახშირდნენ შუამავალნი, რომელნიც ბულგარეთის მთავრობისათვის სესხის აღებას სცდილობენ. ბულგარეთის სააგენტო იუწყება, რომ ამ შუამავლებს ბულგარეთის მთავრობისაგან არავითარი მინდობილობა არა აქვთ და არც ერთი შუამავლისთვის ამ საქმის გამო ბულგარეთის მთავრობას არ მიუმართავსო.

ლონდონი. პარასცევს ჩერჩილი პარიზში მიდის, იქიდან გერმანიას ესტუმრება.

პარიზი. მინისტრთა საბჭოში კაიომ ხელის-მოსაწერად წარადგინა დეკრეტი სესხის კანონ-პროექტის დაბრუნებისა დეპუტატთა პალატიდან; კაიო ვრცელ საფინანსო პროგრამას მაშინ წარუდგენს, როდესაც ყველა საგანგებო ხარჯს მოივარაუდებს, რომელიც სახელმწიფო დაცვის საქმეს გამოუწვევია.

ზაგრები. ხორვატიის სეიმის არჩევნები მშვიდობიანად მიმდინარეობს.

რომი დეპუტატთა პალატა. მარკიზ დი-სან-ჯულიანომ ბარზილაის და ბისოლატის საპასუხოდ სთქვა: იტალიასა ჰსურს ალბანეთის ერი დამოუკიდებელი იყოსო. მარკიზმა აღნიშნა გერმანიისა და ავსტრიის დაახლოვება და განაცხადა. რომ მარკიზი მალე გრაფ ბერტჰოლდს ინახულებსო.

ალბანეთისადმი უნდობლობა, მარკიზის სიტყვით, უნიადაგოა. ეგეის კუნძულთა საკითხში იტალია ლონდონის ხელშეკრულობით ხელმძღვანელობს. იტალიის პოლიტიკის მიზანია ხმელთა შუა ზღვის სახელმწიფოების ძალთა გათანასწორება. აუცილებლივ საჭიროა ხელუხლებლად დასტოვონ ოსმალეთის იმპერია და მისი ძლევამოსილება. იტალიასა და საფრანგეთ შორის მუდამ კეთილი განწყობილება ჰსუფევდა. სანჯულიანი რუსეთის თაობაზე აღარაფერს ამობს, იმიტომ, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კოკოვცევის სიტყვებმა ნათლად დაგვანახვა, თუ რამდენად უსაფუძვლოა ბარზილაის მიერ გამოთქმული ეჭვი. ამის გარდა, ჯერ კიდევ არ ჩანელებულა მოგონება იმ მეგობრობისა, რომელიც რუსეთმა გამოიჩინა იტალიისადმი ოსმალეთთან ომის დროსო. იტალიას ინგლისთანაც კეთილი და მეგობრული განწყობილება აქვს. აქაც ბარზილაის აზრი შემცდარიაო.

პარიზი. „ეკო-დე-პარი" ეჭვობს, შესაძლებელი იქნება თუ არა ოსმალეთის ფინანსიური ბლოკადაო. თუ საფრანგეთმა ოსმალეთს სესხის მიცემაზე უარი უთხრა, ოსმალეთი საფრანგეთის ინტერესების საზარალოდ ამ სესხს გერმანიაში იშოვისო.

ვენა. ავსტრიის დელეგაციამ საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა მიიღო. სიტყვა წარმოსთქვა ფლოტის ადმირალმა ჰაუსმა; მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის ფლოტის გაძლიერებას. რუსეთ-იაპონიის ომმა ნათლად დაამტკიცა ზღვაზე ბატონობის აუცილებელი საჭიროება.

პარიზი. სენატმა 201 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 50-სა დუმერგის დეკლარაცია და დამატებითი განმარტება მოიწონა.

რუსეთი.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იალტაში წავიდა.

პეტერბურგი. იუსტიციის სამინისტროში პირველ დეპარტამენტის დირექტორის თავმჯდომარეობით მომრიგებელ მოსამართლეთა თათბირის პირველი საქმიანი კრება მოხდა.

პეტერბურგი. ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ მინისტრთა საბჭოს წარუდგინა დებულებანი საზღვარ-გარედ სამუშაოსთვის გასვლის პროექტისა.

შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო!

გაახლებთ მცირე წვლილს ჩვენი მგოსნის **ი. ევდოშვილის** სასარგებლოდ.

ვუსურვებთ დღეგრძელობას და ჯან-მრთელობას, რომ აწეც შესძლებოდეს ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ.

სია შემომწირველთა: კნეინა ნინო ამილახვრისამ 3 მ., მელანია წერეთლისამ, სამსონ წერეთელმა, თეკლე ბარათაშვილისამ, ალექსანდრა ბარათაშვილისამ, ნინო გამყრელიძისამ—თითო მანეთი. ჯიბო აბაშიძემ 3 მ., სესია ლეჟავამ, კოლია ბარათაშვილმა, ვანო ბარათაშვილმა—ორ-ორი მანეთი. დათიკო და კირილე საყვარელიძეებმა, კალისტრატე ქღენტმა, სანდრო წულეისკირმა, რომანოზ ანჯაფარიამ—ათ-ათი შაური. ლავრენტი და ალექსანდრე ლაბაურეებმა—ორ-ორი აბაზი. სულ 20 მ. 30 კაპ.

შემკრები **ვანო მიხ. ბარათაშვილი.**

ჩვენი ფოსტა

სადგური ჯულფა. ვ. საათაშვილს. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი უკვე გამოუგზავნით თქვენთვის.

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

4711
პოხიერი პუდრი
კანს ხავერდივით არბილებს და ახალგაზდობის ელფერს აძლევს
ფერ. მიულგენსისა პარფიუმერ. კელნი რ. განყოფ. — რიგაში.
კოლოფი 30 კაპ.
იყიდება ყველგან.
1504
Метцль. 357871.

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 30 წ.

ყარსისკენ: **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4|3 საფოსტო 7 საათსა და 23 წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26|25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 პ. **ფომინა-თხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ო. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო

სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ავასართოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერგებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულიანი: 10—11 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი აბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები ძლიერეგებით.

სამკურნალოს, დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

1004



ფეხსაცმელები

სიომა ფ. ჯახუარაშვილის

მაღაზია სახელოსნოში
მუხრანის ქ. № 2.

მიღებულია ახალი ზამთრის სეზონის საქონელი ვარშავის და პეტერბურგის მექანიკური ნაწარმოებისა. ფასები საფაბრიკოა.

855

სამშობიარო

თავშესაფარი

თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გ ა მ ც ე მ ი"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

1865.
1870.
1882.
კალოშები
1860
ТОВАРИЩ. С.ПЕТЕРБУРГЪ
ТРЕУГОЛЬНИКЪ
ТОВАРИЩ. РОСС. АМЕРИКАНСК. РЕЗИН. МАНУФАКТ.
ტრეუგოლნიკ

1523

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი

საბუღალტრო კურსები

(საღამოსი),

რ. ზ. რომანოვისა,

(1908 წ. დაარსებული).

ტფილისი, ჩერქეზიშვილის (ავჭალის) ქუჩა № 47, ტრამვაის სადგურთან,
მე-3 სამოსამართლო განყოფილების მახლობლად.

კურსი 5 თვიანია, ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 1914 წ. 2 იანვრიდან.

ამზადებენ **ორივე სქესის** პირთ სავაჭრო-სამრეწველო და საფინანსო დაწესებულებაში თანამდებობის მისაღებად და აძლევენ **სპეციალურ საკომერციო ცოდნას** საბუღალტრო და სხვა საკომერციო მეცნიერებიდან.

პრაქტიკული მუშაობა ბუჰგალტერიისა და კორესპონდენც. სწარმოებს კურსებთან მოწყობილ სპეციალურ კანტორაში, **სატახტო ქალაქების კურსების მიხედვით, თვალსაჩინო წესით,** მასალა აღებულია ცხოვრების სინამდვილიდან (**სავაჭრ. დოკუმენტ. და სხვა ფორმ.**), და სავალდებულოა აწარმ. ანგარიშები ერთ-თვიან რთულ წარმოებათა, როგორც საზოგადოდ სავაჭრო ბანკის ანგარიშებისა სავალდებულო საგნები: 1. ა) ბუჰლალტერია, უბრალო, იტალიური (ორმაგი), გერმ., ამერიკ., ფრანგ., ინგლის. კამერალ. და რუს. (სამმაგი) (პრაქტ. მუშაობით ყოველ სისტემაში). ბ) **ანგარიში:** საზოგადო სავაჭრ. საქარხ. ბანკის შემნ. ვამს. და საკრ. ამხ. ნავთ-მრეწვ. და დაზღვევისა. ანგარიშის წარმოება კარტ. სისტ. 2) კომერც. არითმ. 3) **სავაჭრო უფლება.** 4) თამასუქ. უფ. 5) კომ. კორეს. (თეორია და პრაქტ.), 6) არითმ. საანგ. ჩოთქზე, (კომერც. და მათემ. გამოანგარიშ. ახალ და უადვ. საშუალებით), 7) კალიგრაფია (უხეირო ხელის გასწორება), არა სავალ. საგ. 8) **პოლიტ.-ეკონომ.**, 9) **სტენოგრაფია,** 10) საწერ მანქანაზე წერვა, 11) რუსული ენა, 12) არითმეტიკა. მასწავლებლებად სპეციალისტები არიან მოწვეულნი უმაღლესი (უნივერსიტეტის) სწავლით. მსმენელ ქალ-ვაჟთა მიღება სწარმოებს **ყოველ დღე** კურსების კანცელ. დილის 10—3 ს.-დე და საღამოს 5—8 ს.-დე. კურსების წესდება და პროგრამა **უფასოდ** იგზავნება. 1615

ი მ შ ა
Imsha
ი მ შ ა

ჩვენ, ყველანი აღტაცებულნი ვართ „**იმშა მეტამორფოზას**" კრემის საპონისა და ფერ-უმარილის საუცხოვო ღირსებით. იგი საუკეთესო საშუალებაა ჭორფლისა და ფერის-მჭამელის მოსასპობად და სახის სითეთრის მოსაგვარად. იყიდება სააფთიაქო საქონელთა კავკ. საამხ. მაღაზიაში, ძმებთან ტერ-ტეროვებთან, ვ. გ. ზურაბოვთან, „სოლოტარტში" და სხვა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებში და აფთიაქებში. წარმომადგენელი **მ. პ. რაშკოვსკი**, ოდესა, საფოსტო ყუთი № 1248. 792

Верійская паровая баня

ვისაც გსურთ ბანაობა, მობრძანდით და იბანეთ

ზ. ი. აბრამაშვილის

აბანოში

ევროპიულად მორთულ ორთქლის აბანოში
ვერის დაღმართზე, (Верійскій спускъ, № 7),
ქალაქის შუა ადგილას, საიდანაც ტრამვაის საშუალებით ყველა დაწესებულებას ადვილად და იაფად მისწვდებით.
გვყავს ქართველი და სპარსელი გამოცდილი მექისეები.
განათებულია ელექტრონით.
ღია არის დილის 6 ს.-დან ღამის 12 ს.-დე, ხოლო კვირაობით—დილის 6 საათიდან ნაშუადღევ. 2 საათამდე.

საერთო ნომრები ცალ-ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის 20 კ. **ცივი** და **ცხელი დუში** სათავად-აზნაურო საერთოში 40 კაპ., ხოლო მოსწავლეებისათვის 30 კ. **ვანები** აბონემენტები (გრადუსით) 30 კაპ. ნომრების ფასი 60 კ. 1—50 კ. გვყავს პარიკ-მახერი კვირა დღითაც საათის ორამდინ. 1602

მარმარილო-მოზაიკის სახელოსნო

ბ. პ. ვილლი-სა.

მიხეილის პროსპ. № 63. ტელ. 620. მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ.

ყოველგვარ შეკვეთას ვღებულობთ,

მარმარილოს, ქვისა და მოზაიკის სამუშაოსას; აგრეთვე გვაქვს დიდ-ძალი დამზადებული ძეგლები ნაირ-ნაირ მასალისა. 1614.

მუდამ დღე მოგვდის

ახალ-ახალი მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

აგრეთვე იყიდება მაილოვის

ხიზილალა.

კოლოფით შიტკა და ხმელი სოკო. აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანიშიპა, ზურგიელები და სხვა ყოველნაირი თევზეულობა და კონსერვები.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

1560

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.